

2024



შპს „Timeless“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	1-3
--------------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	8
2. მომზადების საფუძველი.....	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
4. არსებითი სააღრიცხვო დაშვებები	13
5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი	14
6. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია	14
7. ძირითადი საშუალებები.....	16
8. მარაგები	17
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	17
10. გადახდილი ავანსები.....	17
11. ფული და ფულის ექვივალენტები.....	17
12. მიღებული სესხები.....	18
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
14. მიღებული ავანსები	19
15. საგადასახადო აქტივი, წმინდა	19
16. საწესდებო კაპიტალი.....	19
17. შემოსავალი.....	20
18. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20
19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	20
20. მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	21
21. არასაოპერაციო შემოსავალი	21
22. არასაოპერაციო ხარჯები.....	21
23. ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	21
24. პირობითი ვალდებულებები.....	22
25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	23

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „Timeless“-ის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „Timeless“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბერს, რადგან ჩვენ არ დავნიშნულვართ აუდიტორებად საანგარიშგებო წელს მიახლოებულ თარიღამდე. კომპანიის მარაგების არსებითი ბრუნვიდან გამომდინარე ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების რაოდენობის, არსებობისა და მდგომარეობის შესახებ, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 7,666,833 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგების ელემენტში, ასევე მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების რეალობითი პროდუქციის თვითღირებულების ელემენტში, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (*ბესს*) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და *ბესს*-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წამოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

მნიშვნელოვანი გარემოება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩატარეთ შენიშვნა 6-ში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წელს. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესადარის ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

აუდიტის სხვა გარემოებები

კომპანიის წინა წლების ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტებული. მიმდინარე ანგარიშგება - 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, არის პირველი ანგარიშგება რომლის აუდიტიც განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუმცა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 510-ის (საწყისი აუდიტის სამუშაოები - საწყისი ნაშთები) მოთხოვნები შესრულებულია იმდენად, რომ დავრწმუნდეთ საწყისი მაჩვენებლები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შვეისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ლუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

24 ნოემბერი 2025

თბილისი, საქართველო

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალევა ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:


- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ღუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

24 ნოემბერი 2025

თბილისი, საქართველო



2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული*	1 იანვარი 2023 გადაანგარიშებული*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	2,804,321	1,488,387	497,069
არამატერიალური აქტივები		4,499	8,124	12,480
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,808,820	1,496,511	509,549
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	8	7,666,833	7,660,607	5,064,497
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	204,431	860,804	1,223,220
გადახდილი ავანსები	10	789,972	410,164	-
სხვა აქტივი		70,848	56,230	45,326
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	3,625,485	1,740,688	2,133,551
სულ მიმდინარე აქტივები		12,357,569	10,728,493	8,466,594
სულ აქტივები		15,166,389	12,225,004	8,976,143
კაპიტალი და ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	-	1,832,181	4,132,340
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	1,832,181	4,132,340
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,033,345	1,803,275	1,220,558
მიღებული ავანსები	14	567,562	465,230	390,344
მოკლევადიანი სესხები	12	6,664,583	4,465,247	-
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	15	579,899	252,986	776,217
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,845,389	6,986,738	2,387,119
სულ ვალდებულებები		8,845,389	8,818,919	6,519,459
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	940,613	940,613	940,613
გაუნაწილებელი მოგება		5,380,387	2,465,472	1,516,071
სულ კაპიტალი		6,321,000	3,406,085	2,456,684
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,166,389	12,225,004	8,976,143

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

არსენ მნატსაკანიანი

დავით ტყემალაძე

თბილისი, საქართველო
24 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული*	1 იანვარი 2023 გადაანგარიშებული*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	2,804,321	1,488,387
არამატერიალური აქტივები		4,499	8,124
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,808,820	1,496,511
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	7,666,833	7,660,607
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	204,431	860,804
გადახდილი ავანსები	10	789,972	410,164
სხვა აქტივი		70,848	56,230
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	3,625,485	1,740,688
სულ მიმდინარე აქტივები		12,357,569	2,133,551
სულ აქტივები		15,166,389	8,466,594
კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	-	1,832,181
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	4,132,340
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,033,345	1,803,275
მიღებული ავანსები	14	567,562	465,230
მოკლევადიანი სესხები	12	6,664,583	4,465,247
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	15	579,899	252,986
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,845,389	6,986,738
სულ ვალდებულებები		8,845,389	6,519,459
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	940,613	940,613
გაუნაწილებელი მოგება		5,380,387	2,465,472
სულ კაპიტალი		6,321,000	1,516,071
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,166,389	8,976,143


დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

არსენ მნატსაკანიანი

ფინანსური მენეჯერი

დავით ტყემალაძე

თბილისი, საქართველო
24 ნოემბერი 2025

8-23 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	17	26,199,501	20,258,301
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	(10,653,323)	(9,293,239)
საერთო მოგება		15,546,178	10,965,062
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(5,547,501)	(4,187,322)
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	20	(6,469,662)	(4,562,043)
საოპერაციო მოგება		3,529,015	2,215,697
არასაოპერაციო შემოსავალი	21	529,367	335,020
არასაოპერაციო ხარჯი	22	(399,909)	(208,764)
საპროცენტო ხარჯი	12	(489,773)	(427,556)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	23	(253,785)	(145,367)
მოგება დაბეგრვამდე		2,914,915	1,769,030
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(122,944)
წლის წმინდა მოგება		2,914,915	1,646,086

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

არსენ მნატსაკანიანი

დავით ტყემალაძე

თბილისი, საქართველო

24 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემოსავალი	შენიშვნები	2024	2023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17	26,199,501	20,258,301
საერთო მოგება	18	(10,653,323)	(9,293,239)
		15,546,178	10,965,062
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(5,547,501)	(4,187,322)
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	20	(6,469,662)	(4,562,043)
საოპერაციო მოგება		3,529,015	2,215,697
არასაოპერაციო შემოსავალი	21	529,367	335,020
არასაოპერაციო ხარჯი	22	(399,909)	(208,764)
საპროცენტო ხარჯი	12	(489,773)	(427,556)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	23	(253,785)	(145,367)
მოგება დაზღვრვამდე		2,914,915	1,769,030
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(122,944)
წლის წმინდა მოგება		2,914,915	1,646,086

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

არსენ მნატსაკანიანი

ფინანსური მენეჯერი

დავით ტყემალაძე

თბილისი, საქართველო
24 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2023	940,613	1,516,071	2,456,684
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,646,086	1,646,086
დივიდენდის გაცემა	-	(696,685)	(696,685)
2023 წლის 31 დეკემბერი	940,613	2,465,472	3,406,085
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,914,915	2,914,915
დივიდენდის გაცემა	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	940,613	5,380,387	6,321,000

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

არსენ მნატსაკანიანი

დავით ტყემალაძე

თბილისი, საქართველო

24 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2023	940,613	1,516,071	2,456,684
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,646,086	1,646,086
დივიდენდის გაცემა	-	(696,685)	(696,685)
2023 წლის 31 დეკემბერი	940,613	2,465,472	3,406,085
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,914,915	2,914,915
დივიდენდის გაცემა	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	940,613	5,380,387	6,321,000

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

არსენ მნატაკანიანი



ფინანსური მენეჯერი

დავით ტყემალაძე



თბილისი, საქართველო
24 ნოემბერი 2025



8-23 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023 *გადაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,914,915	1,646,086
გადახდილი დივიდენდი		-	(696,685)
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	455,288	284,622
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი	23	253,785	145,367
ფინანსური ხარჯი	12	489,773	427,556
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
(ზრდა) / შემცირება - სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, სხვა აქტივების	9	716,041	392,751
(ზრდა) / შემცირება - გადახდილ ავანსებში		(379,808)	(410,164)
(ზრდა) / შემცირება - მარაგების	8	(6,226)	(2,596,110)
შემცირება - სავაჭრო და სხვა ვალდებულებების	13	(770,628)	503,190
(ზრდა) / შემცირება - მიღებულ ავანსებში	14	102,332	74,886
ზრდა / (შემცირება) - წმინდა საგადასახადო ვალდებულებებში / საგადასახადო აქტივებში	15	326,913	(523,231)
გადახდილი პროცენტი	12	(130,788)	(76,249)
წმინდა ფულადი ნაკადების მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან		3,971,597	(827,981)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(1,771,222)	(1,275,940)
ცვლილება არამატერიალურ აქტივებში		3,625	4,356
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული / (გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,767,597)	(1,271,584)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	12	1,718,569	4,113,757
სესხების დაფარვა	12	(1,971,706)	(2,385,661)
წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		(253,137)	1,728,096
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		1,950,863	(371,469)
სავალუტო კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	23	(66,066)	(21,394)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვარს	11	1,740,688	2,133,551
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს		3,625,485	1,740,688

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

არსენ მნატსაკანიანი

დავით ტყემალაძე

თბილისი, საქართველო

24 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023 *გადაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,914,915	1,646,086
გადახდილი დივიდენდი		-	(696,685)
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	455,288	284,622
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი	23	253,785	145,367
ფინანსური ხარჯი	12	489,773	427,556
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
(ზრდა) / შემცირება - სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, სხვა აქტივების			
(ზრდა) / შემცირება - გადახდილ ავანსებში	9	716,041	392,751
(ზრდა) / შემცირება - მარაგების		(379,808)	(410,164)
შემცირება - სავაჭრო და სხვა ვალდებულებების	8	(6,226)	(2,596,110)
(ზრდა) / შემცირება - მიღებულ ავანსებში	13	(770,628)	503,190
ზრდა / (შემცირება) - წმინდა საგადასახადო ვალდებულებებში / საგადასახადო აქტივებში	14	102,332	74,886
გადახდილი პროცენტი	15	326,913	(523,231)
წმინდა ფულადი ნაკადების მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან	12	(130,788)	(76,249)
		3,971,597	(827,981)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა			
ცვლილება არამატერიალურ აქტივებში	7	(1,771,222)	(1,275,940)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული / (გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან		3,625	4,356
		(1,767,597)	(1,271,584)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები			
სესხების დაფარვა	12	1,718,569	4,113,757
წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საფინანსო საქმიანობიდან	12	(1,971,706)	(2,385,661)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(253,137)	1,728,096
სავალუტო კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		1,950,863	(371,469)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვარს	23	(66,066)	(21,394)
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის	11	1,740,688	2,133,551
		3,625,485	1,740,688

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

არსენ მნატსაკანია

ფინანსური მენეჯერი

დავით ტყემალაძე

თბილისი, საქართველო
24 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***1. ძირითადი საქმიანობა****(ა) კომპანია და მისი ოპერაციები**

შპს „Timeless“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა (შემდგომში „კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2013 წლის 21 თებერვალს.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, რუსთაველის გამზ. №46.

შპს Timeless ქართულ ბაზარზე ოპერირებს შემდეგი ბრენდების სახელით: Time, Pandora, Tous. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა საათებით, სამკაულებით და აქსესუარებით.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის არსენ მნატსაკანიანი.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი არის:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება BLOGBIRD LIMITED, HE 368647 /კვიპროსი/	100.00%	100.00%
	100.00%	100.00%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება BLOGBIRD LIMITED, HE 368647 /კვიპროსი/ მფლობელობის სტრუქტურა შემდეგანია:		
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
არტიომ ხაჩატრიანი	50.00%	50.00%
გურგენ ხაჩატრიანი	50.00%	50.00%
	100.00%	100.00%

(ბ) ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი**(ა) შესაბამისობის განაცხადი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკის („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)****(ბ) შეფასების საფუძველი**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ქართული ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

(დ) ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ექვეყნებინა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	1-10
კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	1-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1-6
სხვა ძირითადი საშუალებები	1-10

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

- კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულის სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 -365 დღე	1 წელზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	10%	25%	50%	100%

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი (N5092-III) საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის ნაწილიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე. 2016 წლის 1 ივნისიდან, ხოლო მოგების გადასახადთან დაკავშირებული ცვლილებები კი ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, რომელიც გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ცვლილების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც განაწილებული იქნა საქართველოს რეზიდენტ კომპანიებზე (ვისაც ცვლილება შეეხო). დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადის გამოანგარიშება ხდება განაწილებული თანხის 0.85-ზე გაყოფით. ამასთან, თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს გაანაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხისა. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტთან სესხებს მიესადაგება.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულებს. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებს, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებს, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და

ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია შემოსავლებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ფულადი ნაკადების ან შემოსავლებთან დაკავშირებული დარიცხული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, რაშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაცემული ფასდათმობები. კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარდება პროდუქციის რეალიზაციისთანავე. კომპანიის გაყიდვების პოლიტიკის მიხედვით პროდუქტის რეალიზაციის მომენტში მასზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მას ასევე გაყიდული პროდუქტის დაბრუნებით სარგებლობის უფლებას აძლევს.

სასაჩუქრე ბარათები და ლოიალურობის ქულები

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს სასაჩუქრე ბარათების რეალიზაციას, ასეთი გამოიყენებელი სასაჩუქრე ბარათების ნაშთები აღიარებულია როგორც მიღებული ავანსები, შესაბამისი შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მომხმარებელი გამოიყენებს სასაჩუქრე ვაუჩერს და შეიძენს პროდუქტს.

კომპანიაში დანერგილია ლოიალურობის პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც მომხმარებელი გამოიმუშავებს ლოიალურობის ქულებს, რომლის გამოყენება პროდუქციის შესაძენად შეუძლია მომავალ პერიოდში. ლოიალურობის ქულები მათ გამოიყენებამდე ან გაქარწყლებამდე აღიარდება, როგორც ვალდებულება. ლოიალურობის ქულების გამოიმუშავებისას კი მცირდება შემოსავალი გამოიმუშავებული ლოიალურობის ოდენობით.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სხვა ხარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

იჯარა**საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე**

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმოდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი- საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 GEL / 1 USD	2.8068	2.6894
1 GEL / 1 EURO	2.9306	2.9753

4. არსებითი სააღრიცხვო დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებების თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***4. არსებითი სააღრიცხვო დაშვებები (გაგრძელება)****გადასახადები**

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვლელადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი

(ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ 2025 წლის 27 თებერვალს გამოუშვა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მესამე გამოცემა, რომლის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული ცვლილებები არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია

კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის შეცდომების გასწორება მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გადაანგარიშების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე:

1 იანვარი, 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	627,584	(130,515)	497,069
არამატერიალური აქტივები	-	12,480	12,480
მარაგები	4,960,456	104,041	5,064,497
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	247,249	975,971	1,223,220
გადახდილი ავანსები	1,019,693	(1,019,693)	-
სხვა აქტივი	-	45,326	45,326
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,600,072	533,479	2,133,551
გრძელვადიანი სესხები	(3,931,410)	(200,930)	(4,132,340)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(1,220,558)	(1,220,558)
მიღებული ავანსები	(918,463)	528,119	(390,344)
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	(288,740)	(487,477)	(776,217)
საწესდებო კაპიტალი	(986,777)	46,164	(940,613)
გაუნაწილებელი მოგება	(2,329,664)	813,593	(1,516,071)
		-	

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

31 დეკემბერი, 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	2023 წლის 1 იანვრის გადაანგარიშე ბის ეფექტი	მაკორექტირებ ლი შესწორება	კორექტირებუ ლი თანხა
ძირითადი საშუალებები	1,879,118		(390,731)	1,488,387
არამატერიალური აქტივები	-		8,124	8,124
მარაგები	7,244,859		415,748	7,660,607
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	484,522		376,282	860,804
გადახდილი ავანსები	175,471		234,693	410,164
სხვა აქტივი	-		56,230	56,230
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,707,374		33,314	1,740,688
გრძელვადიანი სესხები	(4,465,247)		2,633,066	(1,832,181)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-		(1,803,275)	(1,803,275)
მიღებული ავანსები	(1,230,818)		765,588	(465,230)
მოკლევადიანი სესხები	(1,832,184)		(2,633,063)	(4,465,247)
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	(356,091)		103,105	(252,986)
საწესდებო კაპიტალი	(986,777)		46,164	(940,613)
გაუნაწილებელი მოგება	(2,620,227)		154,755	(2,465,472)
შემოსავალი	(19,845,401)		(412,900)	(20,258,301)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9,137,288		155,951	9,293,239
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8,677,400		(4,490,078)	4,187,322
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	-		4,562,043	4,562,043
არასაოპერაციო შემოსავალი	(212,429)		(122,591)	(335,020)
არასაოპერაციო ხარჯი	-		208,764	208,764
საპროცენტო ხარჯი	-		427,556	427,556
ფინანსურ შემოსავალი	(46,423)		46,423	-
ფინანსური ხარჯი	574,780		(574,780)	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	604,594		(459,227)	145,367
		813,593	(658,839)	

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
1 იანვარი 2023	651,530	34,229	584,540	130,443	1,400,742
შემოსვლა	961,991	39,849	225,246	48,854	1,275,940
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	1,613,521	74,078	809,786	179,297	2,676,682
შემოსვლა	557,146	93,760	983,984	136,332	1,771,222
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	2,170,667	167,838	1,793,770	315,629	4,447,904
<i>დაგროვილი ცვეთა</i>					
1 იანვარი 2023	373,169	27,929	412,029	90,546	903,673
დარიცხვა	135,177	10,226	112,649	26,570	284,622
ამოტრიალება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	508,346	38,155	524,678	117,116	1,188,295
დარიცხვა	209,105	16,098	191,100	38,985	455,288
ამოტრიალება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	717,451	54,253	715,778	156,101	1,643,583
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>					
31 დეკემბერი 2023	1,105,175	35,923	285,108	62,181	1,488,387
31 დეკემბერი 2024	1,453,216	113,585	1,077,992	159,528	2,804,321

კომპანიის სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 328,747 ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ გააჩნია სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***8. მარაგები**

კომპანიის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საათები	3,475,872	3,946,505
სამკაული და აქსესუარები	3,326,749	2,518,780
სარეკლამო/საპრეზენტაციო მასალები	401,656	620,904
სასაჩუქრე ნივთები	117,703	152,219
სხვა მასალები	344,853	422,199
სულ მარაგები	7,666,833	7,660,607

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	179,922	788,361
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე	5,134	4,755
სხვა მოთხოვნები	19,375	67,688
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	204,431	860,804

10. გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადად წარმოადგენს გასაყიდი საქონლის შესაძენად სხვადასხვა მომწოდებლისთვის გადახდილ ავანსებს.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	2,670,593	1,427,226
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	835,670	40,674
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	89,552	68,170
ფული გზაში	29,670	204,618
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	3,625,485	1,740,688

კომპანიას ფული და ფულის ეკვივალენტები განტავსებული აქვს სტაბილური რეიტინგის მქონე ბანკებში, შესაბამისად ფულის და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების რისკი მინიმალურია.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გამსესხებელი	სესხი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ძირი	სესხის აღების თარიღი	სესხის დაფარვის თარიღი	გადასახდელი ძირი 31 დეკემბერი 2024	პროცენტი ძირი 31 დეკემბერი 2024	სულ
თიბისი ბანკი	საკრედიტო ხაზი 1	EUR	0.085	500000	10/08/2023	11/24/2025	586,120	-	586,120
თიბისი ბანკი	საკრედიტო ხაზი 2	USD	0.095	1000000	10/08/2023	11/24/2025	1,330,423	-	1,330,423
ვოჩ ვორლდი	სესხი 1	USD	9%	1060000	6/2/2022	12/2/2023	2,133,168	627,308	2,760,476
ვოჩ ვორლდი	სესხი 2	USD	9%	595000	12/2/2022	12/2/2023	1,670,046	317,518	1,987,564
									6,664,583

გამსესხებელი	სესხი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ძირი	სესხის აღების თარიღი	სესხის დაფარვის თარიღი	გადასახდელი ძირი 31 დეკემბერი 2023	პროცენტი ძირი 31 დეკემბერი 2023	სულ
თიბისი ბანკი	საკრედიტო ხაზი 1	EUR	9%	500,000	10/08/2023	11/24/2025	595,060	-	595,060
თიბისი ბანკი	საკრედიტო ხაზი 2	USD	10%	1,000,000	10/08/2023	11/24/2025	1,237,124	-	1,237,124
ვოჩ ვორლდი	სესხი 1	USD	9%	1,060,000	6/2/2022	12/2/2023	2,312,884	393,335	2,706,219
ვოჩ ვორლდი	სესხი 2	USD	9%	595,000	12/2/2022	12/2/2023	1,600,193	158,832	1,759,025
									6,297,428

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. მიღებული სესხები (გაგრძელება)

სესხის მოძრაობა

სესხის ნაშთი 1 იანვარი 2023	4,132,340
სესხის აღება	4,113,757
სესხის დაფარვა	(2,385,661)
პროცენტის დარიცხვა	427,556
პროცენტის გადახდა	(76,249)
საკუროს სხვაობა	85,685
სესხის ნაშთი 31 დეკემბერი 2023	6,297,428
სესხის აღება	1,718,569
სესხის დაფარვა	(1,971,706)
პროცენტის დარიცხვა	489,773
პროცენტის გადახდა	(130,788)
საკუროს სხვაობა	261,307
სესხის ნაშთი 31 დეკემბერი 2024	6,664,583

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულება	781,025	1,449,571
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	145,149	113,155
სხვა სავაჭრო ვალდებულება	107,171	240,549
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,033,345	1,803,275

14. მიღებული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლოიალურობის ქულები	458,506	367,559
სასაჩუქრე ბარათები	109,056	97,671
	567,562	465,230

15. საგადასახადო აქტივი, წმინდა

საგადასახადო ვალდებულებები და საგადასახადო აქტივები წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს საგადასახადო ვალდებულება, წმინდა 579,899 ლარის და 252,986 ლარის ოდენობით.

16. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია მისი შევსების მიხედვით. 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 940,613 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალი. 2024 წლის განმავლობაში კომპანიას არ განუცხადებია დივიდენდები, 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები 696,685 ლარის ოდენობით.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***17. შემოსავალი**

შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შემოსავალი საათების გაყიდვიდან	15,761,912	13,359,660
შემოსავალი სამკაულის გაყიდვიდან	10,542,909	7,072,517
შემოსავალი აქსესუარების გაყიდვიდან	236,680	99,658
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	45,386	24,154
სხვა შემოსავალი	66,267	14,296
ლოიალურობის ფასდაკლება	(453,653)	(311,984)
სულ შემოსავალი	26,199,501	20,258,301

18. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
რეალიზებული საათების თვითღირებულება	6,432,290	6,513,610
რეალიზებული სამკაულის თვითღირებულება	4,035,379	2,705,428
რეალიზებული აქსესუარების თვითღირებულება	102,524	46,895
სხვა	83,130	27,306
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10,653,323	9,293,239

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
მომსახურების ხარჯი	2,326,540	1,662,762
დასაქმებულთა ხელფასები და სხვა ბენეფიტები	1,848,702	1,329,552
საბანკო გადასახადები და საკომისიოები	431,999	338,227
პერსონალის ხარჯი	205,193	207,153
იჯარის ხარჯი	190,089	312,454
ცვეთა და ამორტიზაცია	66,328	19,053
მარაგების ჩამოწერის ხარჯი	95,367	8,604
დაზღვევის ხარჯი	90,726	67,650
კომუნალური ხარჯი	88,883	95,915
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	76,608	42,547
მივლინების ხარჯი	31,012	17,894
საგადასახადო ხარჯი	26,002	19,108
სხვა ხარჯი	70,052	66,403
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5,547,501	4,187,322

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

20. მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები

მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
იჯარის ხარჯი	2,328,604	1,736,506
ხელფასის ხარჯი	1,989,310	1,370,956
გაყიდვების წახალისება	639,298	421,950
რეკლამის ხარჯი	557,121	393,566
ცვტა	392,585	269,925
მარკეტინგული აქტივობები	371,649	197,581
კომუნალური ხარჯი	86,083	81,264
სხვა	105,012	90,295
სულ მარკეტინგული და გაყიდვების ხარჯი	6,469,662	4,562,043

21. არასაოპერაციო შემოსავალი

კომპანიის არასაოპერაციო შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ვადგასული ლოიალურობის ქულების და სასაჩუქრე ბარათების ჩამოწერა	127,704	83,298
დებიტორული და კრედიტორული ნაშთების კორექტირებიდან მიღებული შემოსავალი	118,231	-
სატრანსპორტო შემოსავალი	87,186	121,777
თანამშრომლებზე რეალიზაცია	54,344	44,666
საპროცენტო შემოსავალი	21,468	46,423
სადაზღვეო შემოსავალი	19,432	5,747
სხვა	101,002	33,109
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	529,367	335,020

22. არასაოპერაციო ხარჯები

კომპანიის არასაოპერაციო ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
დებიტორული და კრედიტორული ნაშთების კორექტირებიდან მიღებული ხარჯი	190,458	38,136
საგადასახადო ხარჯი	62,106	79,293
სატრანსპორტო ხარჯი	54,850	91,335
უსასყიდლო ჩუქება	44,769	-
სასაქონლო მატერიალური მარაგების კორექტირება	47,726	-
სულ არასაოპერაციო ხარჯი	399,909	208,764

23. ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა

მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(253,785)	(145,367)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(253,785)	(145,367)
აღრეალიზებული საკურსო მოგება/(ზარალი)	(66,066)	(21,394)
რეალიზებული საკურსო მოგება/(ზარალი)	(187,719)	(123,973)
სულ მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(253,785)	(145,367)

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

23. ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა (გაგრძელება)

	2024	2023
საკუროს მოგება/(ზარალი) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან	74,286	(79,527)
საკუროს მოგება/(ზარალი) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან	(698)	41,239
საკუროს მოგება/(ზარალი) ფული და ფულის ექვივალენტებიდან	(66,066)	(21,394)
საკუროს მოგება/(ზარალი) ფინანსური ვალდებულებებიდან	(261,307)	(85,685)
სულ მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან	(253,785)	(145,367)

24. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	101,299	454,565
სულ აქტივები	101,299	454,565
ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	126,731	159,351
სულ ვალდებულებები	126,731	159,351

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	2024		2023	
სრული შემოსავლის ანგარიშგება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	დირექტორი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	დირექტორი
შემოსავალი	647,994	-	568,126	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	-	20,492	-	21,121
რალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	491,323	-	485,212	-

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა სარგებელი 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის შეადგენს:

	2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა სარგებელი	305,460	227,890
	305,460	227,890

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ნოემბერს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარე.

შპს Timeless

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია	24
საქმიანობის მიმოხილვა.....	24
ძირითადი რისკები	25
ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები	25

ზოგადი ინფორმაცია

შპს Timeless (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 21/02/2013 დაფუძნდა და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, რუსთაველის გამზ. №46

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება BLOGBIRD LIMITED, HE 368647 /კვიპროსი/ 100%-იანი წილით.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს Timeless ქართულ ბაზარზე ოპერირებს შემდეგი ბრენდების სახელით: Time, Pandora, Tous. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა საათებით, სამკაულებით და აქსესუარებით. კომპანიის დირექტორი არის არსენ მნატსაკანიანი

კომპანიის კაპიტალი შედგება დამფუძნებლის საწესდებო კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან, კომპანიას არ შეუცვლია კაპიტალის სტრუქტურა 2024 წელს, კომპანიას არ მოუხდენია საკუთარი აქციების შესყიდვა.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია 2024 წლის განმავლობაში საქმიანობას ეწეოდა თბილისში, ბათუმსა, ზუგდიდში საოპერაციო იჯარის ფარგლებში სარგებლობის უფლებით მიღებულ სავაჭრო ფართებში. კომპანია ოპერირებს 21 ფილიალის საშუალებით, მათ შორისაა ელექტრონული კომერცია.

კომპანიის მმართველობაში არსებული მაღაზიათა უმეტესობა განთავსებულია სავაჭრო ცენტრებში როგორცაა სითი მოლი ქავთარაძე, ისთ პოინტი, გალერია თბილისი, გლდანის სითი მოლი, ბათუმი სითი მოლი, თბილისი მოლი, და ზუგდიდი მოლი.

კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად ზრუნავს მომხმარებლის წახალისებისთვის, რაც გამოიხატება სხვადასხვა მარკეტინგულ აქტივობებში, მაგალითად: სხვადასხვა სახის ფასდაკლებები, წინასასკოლო და სეზონური ფასდაკლებები და ა.შ. კომპანიის მარკეტინგული გეგმის ძირითადი მიზანია, სხვა და სხვა აქციებზე ან/და ფასდაკლებებზე ინფორმაციის მიწოდება ქვეყნის მასშტაბით. ძირითადი პლატფორმები რომლითაც ვსარგებლობთ არის ბანერები, სოციალური ქსელები და მაღაზიის ვიტრინების ვიზუალიზაცია.

ინფორმაცია კომპანიის დასაქმებულების შესახებ და მათ გავითარებაში ჩატარებული ღონისძიებები

2024 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა კომპანიაში შეადგენდა 125 ადამიანს. თანამშრომელები მუდმივ მხარდაჭერას და პროფესიულ ზრდას გადიან. პერიოდული ტრენინგებითა და სამოტივაციო შეხვედრებით. ფილიალების მენეჯერები პასუხისმგებელნი არიან პროდუქტების გაყიდვასა და განვითარებაზე, ასევე ისინი პასუხისმგებელნი არიან მენეჯმენტისთვის სასარგებლო და დროული ინფორმაციის მიწოდებაზე, როგორც ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე, ასევე მაღაზიებში შექმნილ ვითარებაზე. ზემოთ აღნიშნული მიმართულებების საფუძველზე ბევრი რამ გაკეთდა ბოლო პერიოდში, კერძოდ ფილიალების უშუალო ჩართულობით მოხდა ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროდუქტის დამატება.

კომპანიის განვითარების გეგმები

მომავალში კომპანიის ძირითადი გეგმა გაფართოვდეს, გახსნას არსებული ბრენდების ახალი ფილიალები და დაამატოს კომპანიის პორტფოლიოში სხვა ბრენდები, რათა პროდუქციის უფრო ფართო არჩევანი შესთავაზოს არსებულ მომხმარებელს და მოზიდოს ახალი მომხმარებელი.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის განვითარებისა და მიზნების განხორციელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით არსებული სტაბილურობის შენარჩუნება, რაც გავლენას ახდენს როგორც ტურისტულ ნაკადებზე ასევე ადგილობრივი მომხმარებლების შენარჩუნებასა და მოზიდვაზე.

კომპანიის ფინანსური სტრუქტურა ჯანსაღია, ასევე საჭიროების შემთხვევაში კომპანიის დამფუძნებლის მიხრიდან არსებობს მზაობა ფინანსური დახმარების გაწევის კომპანია არ ვაჭრობს საკუთარი აქციებით.

კომპანიის მოზიდული სახსრები არის სესხი ადგილობრივ ბანკში.

ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული*	1 იანვარი 2023 გადაანგარიშებული*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	2,804,321	1,488,387	497,069
არამატერიალური აქტივები		4,499	8,124	12,480
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,808,820	1,496,511	509,549
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	8	7,666,833	7,660,607	5,064,497
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	204,431	860,804	1,223,220
გადახდილი ავანსები		789,972	410,164	-
სხვა აქტივი		70,848	56,230	45,326
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	3,625,485	1,740,688	2,133,551
სულ მიმდინარე აქტივები		12,357,569	10,728,493	8,466,594
სულ აქტივები		15,166,389	12,225,004	8,976,143
კაპიტალი და ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	-	1,832,181	4,132,340
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	1,832,181	4,132,340
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,033,345	1,803,275	1,220,558
მიღებული ავანსები	13	567,562	465,230	390,344
მოკლევადიანი სესხები	11	6,664,583	4,465,247	-
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	14	579,899	252,986	776,217
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,845,389	6,986,738	2,387,119
სულ ვალდებულებები		8,845,389	8,818,919	6,519,459
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	940,613	940,613	940,613
გაუნაწილებელი მოგება		5,380,387	2,465,472	1,516,071
სულ კაპიტალი		6,321,000	3,406,085	2,456,684
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,166,389	12,225,004	8,976,143

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	16	26,199,501	20,258,301
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17	(10,653,323)	(9,293,239)
საერთო მოგება		15,546,178	10,965,062
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(5,547,501)	(4,187,322)
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	19	(6,469,662)	(4,562,043)
საოპერაციო მოგება		3,529,015	2,215,697
არასაოპერაციო შემოსავალი	20	529,367	335,020
არასაოპერაციო ხარჯი	21	(399,909)	(208,764)
საპროცენტო ხარჯი	11	(489,773)	(427,556)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	22	(253,785)	(145,367)
მოგება დაბეგრვამდე		2,914,915	1,769,030
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(122,944)
წლის წმინდა მოგება		2,914,915	1,646,086

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	59%	54%
წმინდა მოგების მარჟა	19%	16%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.40	1.54
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.53	0.44
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	1.39	1.46

კომპანიის ბრუნვა 2024 წელს 2023 წელთან შედარებით გაზრდილია, ისევე როგორც კომპანიის საერთო მოგების მარჟა, რომელიც გაზრდილია 5%-ით, კომპანიის მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი მცირედით არის შემცირებული წინა წელთან შედარებით, რაც იმის მანიშნებელია, რომ კომპანიამ ვერ შეძლო წინა წლის მსგავსად მარაგების ანალიზი და მათ მენეჯმენტი, თუმცა ამის მიუხედავად ბრუნვა გაზრდილია.

არსენ მნატსაკანიანი

24 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	16	26,199,501	20,258,301
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17	(10,653,323)	(9,293,239)
საერთო მოგება		15,546,178	10,965,062
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(5,547,501)	(4,187,322)
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	19	(6,469,662)	(4,562,043)
საოპერაციო მოგება		3,529,015	2,215,697
არასაოპერაციო შემოსავალი	20	529,367	335,020
არასაოპერაციო ხარჯი	21	(399,909)	(208,764)
საპროცენტო ხარჯი	11	(489,773)	(427,556)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	22	(253,785)	(145,367)
მოგება დაბეგრვამდე		2,914,915	1,769,030
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(122,944)
წლის წმინდა მოგება		2,914,915	1,646,086

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	59%	54%
წმინდა მოგების მარჟა	19%	16%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.40	1.54
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.53	0.44
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	1.39	1.46

კომპანიის ბრუნვა 2024 წელს 2023 წელთან შედარებით გაზრდილია, ისევე როგორც კომპანიის საერთო მოგების მარჟა, რომელიც გაზრდილია 5%-ით, კომპანიის მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი მცირედით არის შემცირებული წინა წელთან შედარებით, რაც იმის მანიშნებელია, რომ კომპანიამ ვერ შეძლო წინა წლის მსგავსად მარაგების ანალიზი და მათ მენეჯმენტი, თუმცა ამის მიუხედავად ბრუნვა გაზრდილია.

არსენ მნატსაკანიანი

24 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

